

№ 02-25.04

25.04 2019

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას
 მაუწყებლის შპს „სტარვიზის“ (ს/კ 245584611)
 მისამართი: ქ.თბილისი, ვაჟა-ფშაველას 16 მე-12 სართული

2018 წლის საქმიანობის ანგარიში

შპს „სტარვიზია“-მ (ს/კ 245584611) კერძო მაუწყებლობის ლიცენზია მიიღო 2013 წლის 19 დეკემბერს, ხოლო ავტორიზაცია 2013 წლის 04 ნოემბრიდან.

„მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 70-ე მუხლის თანახმად წარმოგიდგენთ 2018 წლის ანგარიშს: საქართველოს კანონმდებლობის, სალიცენზიო პირობებისა და ქცევის კოდექსის მოთხოვნათა შესრულებისა და დაფინანსების წყაროების შესახებ:

- ლიცენზიის მიღებიდან შპს „სტარვიზია“, როგორც მაუწყებელი ფლობს და განკარგავს NB151 ლიცენზიას და ავტორიზაციას N BR-1111, ასევე NB11 (რადიო მაუწყებლობა) ლიცენზიას საქართველოს კანონმდებლობისა და სალიცენზიო პირობების დაცვით;
- მაუწყებელი (შპს „სტარვიზია“) საქმიანობის წარმართვისას იცავს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ დადგენილ „მაუწყებლობის ქცევის კოდექს“;
- შპს „სტარვიზის“ როგორც მაუწყებლის დაფინანსების წყაროა: კერძო საქმიანობით (სამაუწყებლო და სარეკლამო საქმიანობით) მიღებული პირადი შემოსავლები და დამფუძნებელი პარტნიორის საწესდებო კაპიტალში შენატანი.

აქვე გაცნობებთ, რომ 2018 წლის განმავლობაში სტარვიზიის თვითრეგულირების კომისიაში საჩივარი არ შემოსულა.

წინამდებარე ანგარიშს დაერთვის კერძო აუდიტის ფინანსური დასკვნა 11(თერთმეტი) ფურცლად.

შენიშვნა: წინამდებარე შპს სტარვიზიის 2018 წლის საქმიანობის ანგარიში გამოქვეყნებულია მაუწყებლის ინტერნეტ ვებ საიტზე <http://stargroup.ge/>.

შპს „სტარვიზის“ დირექტორი
 გია ალიხანაშვილი

